ოქმი N1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს
მორიგი სხდომის

ქ. ოზურგეთი
2020 წლის 28 იანვარი
15 საათი

თავმჯდომარეობდა: ლელა საჯაია-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;
ესწრებოდნენ: ეროდი გორდელაძე -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; ქეთევან ვასაძე-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი; საბჭოს წევრები: დავით დარჩია, გიორგი ღურჯუმელიძე, მარიკა ჩხიკვიშვილი, გელა არუშიძე, ხათუნა ცერცვაძე, ნანული ორაგველიძე, როზეტა სკამკოჩაიშვილი, გელა ჩავლეშვილი, ლალი სიჭინავა, მაია ზოიძე, ბახვა დოლიძე, ლევან ნინიძე, გენო ჩავლეშვილი, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, მასმედიის წარმომადგენლები.
სხდომის თავმჯდომარე ლელა საჯაია მიესალმა საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ საბჭოს მუშაობას ესწრება ყველა წევრი და საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. სხდომის თავმჯდომარემ დამსწრეთ გააცნო მორიგი სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 16 ხმით.

დღის წესრიგი:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2020 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
   მომხსენებელი: ლელა საჯაია;
   თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე;

საბჭოს თავმჯდომარემ ლელა საჯაიამ სხდომის დამსწრე პირებს წარუდგინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2020 წლის სამუშაო გეგმა და მათ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა საბჭოს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებზე.

2020 წლის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის მიზანია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, მუნიციპალური პროგრამები და პროექტები დაიგეგმოს და განხორციელდეს გენდერული საჭიროებების გათვალისწინებით და გაიზარდოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერება გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ.

გეგმის შემუშავების პროცესის და მიმდინარეობის შესახებ აზრი გამოთქვეს საბჭოს წევრებმა: მ. ჩხიკვიშვილმა, მ. ზოიძემ, ლ. სიჭინავამ, ხ. ცერცვაძემ, მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელმა მარინა ჯაფარიძემ.

გენდერული თანასწორობის საბჭომ 16 ხმით მხარი დაუჭირა 2020 წლის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმას.

2. ქალთა ოთახის სერვისის ამოქმედების შესახებ- არსებული გამოწვევები, კოორდინაციის გაუმჯობესების მიმართულები სამომავლო გეგმები;
   მომხსენებელი: მარინა ჯაფარიძე;
   თანამომხსენებელი : ლელა საჯაია;

მომხსენებელმა მარინა ჯაფარიძემ ისაუბრა მუნიციპალიტეტში ქალთა ოთახის შესაქმნელად განხორციელებულ ღონისძიებებზე და აღნიშნა, რომ ქალთა ოთახი უახლოეს პერიოდში დაიწყებს ფუნქციონირებას, ხოლო ქალთა ოთახის აღჭურვა მოხდება საერთაშორისო ორგანიზაცია ,,მერსი ქორპსის" მხარდაჭერით.

საკითხის განხილვა გაგრძელდა დისკუსიის ფორმატში. ,,ქალთა ოთახის „ სახელთან და ფუნქციებთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს: მ. ჩხიკვიშვილმა, ლ.სიჭინავამ. გ. ჩავლეშვლმა, მ.ზოიძემ, ნ.ორაგველიძემ.

წარმოდგენილი ინფორმაცია ,,ქალთა ოთახის „ შესახებ მიღებულ იქნა ცნობად.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა;

ლელა საჯაია----------/ლ.საჯაია/

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე